უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №12

ქ. თბილისი **07.09.2018**

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით აფრასიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;
ნუგზარ სხირტლაძე - შპს კავკასიის უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
მაკა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საბჭოს მდივანი;
თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, პროფესორი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი;
ნანა შარიქაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გიორგი ისაკაძე - ა(ა)იპ - ბიზნესმედია საქართველოს დამფუძნებელი;
ნოდარ შურღაია - შპს „დასაქმების სააგენტო ეიჩარის" დირექტორი.

საბჭოს მოწვეული წევრები:

კახაბერ ჭელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფესორი, შინაგან დაავადებათა N1 დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;
დავით გაგუა - შპს - "დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის" პროფესორი, შპს "გაგუას კლინიკის" გენერალური დირექტორი, მედიცინის დოქტორი;
დიმიტრი კორძაია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი, ადამიანის ანატომიის, ტოპოგრაფიული ანატომიისა და ოპერაციული ქირურგიის დეპარტამენტის პროფესორი, მედიცინის დოქტორი;
დავით კობეშავიძე - შპს - "იმედის კლინიკის" დირექტორი, ექიმი მეან-გინეკოლოგი, მედიცინის დოქტორი;
გიორგი გოცაძე - შპს "მედი ქლაბ ჯორჯიას" კლინიკური დირექტორი, ა(ა)იპ - საქართველოს გადაუდებელი მედიცინის ექიმთა ასოციაციის პრეზიდენტი;

ზურაბ ფაღავა - შპს "სისხლძარღვთა და გულის დაავადებათა ცენტრის" კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, მედიცინის დოქტორი;
ნინო შარაშიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის თერაპიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, შპს "კლინიკური კარდეოლოგიის ინსტიტუტისა" და შპს "სამედიცინო ცენტრ ციტოს" ექიმი-კარდიოლოგი, მედიცინის დოქტორი;
ხათუნა ზალდასტანიშვილი - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის უფორის;
გიორგი ხუფენია - სსიპ - სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს პროფესიული რეგულირების დეპარტამენტის პროფესიული მზადების სამმართველოს უფროსი;
ამირან გამყრელიძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერელური დირექტორი;
პაატა იმნაძე - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მოადგილე;
თამარ გვასალია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ლაშა მარგიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
გიორგი მუნჯიშვილი - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნინო ფოფხაძე - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სამმართველოს სპეციალისტი;
ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნინო სტეფანიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონიტორინგის კოორდინატორი.

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი:**

გიორგი ღავთაძე - რექტორი;
კახა კუპატაძე - კანცლერი;
თეა კორძაძე - ხარისხის უზრუნველყოფის მართვის სამსახურის უფროსი;
თეა ვალიშვილი - მარკეტინგის, პროექტებისა და ღონისძიებების მართვის სამსახურის უფროსი;
ციცინო თურქაძე - საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

2. **სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია**
რეზო კიკნაძე - რექტორი;**მანანა დოიჯაშვილი** - რექტორის მოადგილე;
ლეილა მარუაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ნიკოლოზ ხორბალაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
ნინო ჟვანია - საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი;
მარიკა ნადარეიშვილი - სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსი;
მაია (მაკა) ვირსალაძე - კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის დეკანი;
მაია მეტრეველი - ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი;
მაია ტაბლიაშვილი - სასწავლო დეპარტამენტის უფროსი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ქეთევან კოტეტიშვილი;
ნინო ჩიხლაძე;
ლევან ცაგარელი;
ქეთევან კანკავა;
ირინა ებრალიძე;
თამაზ გაბისონია;
თეონა კახიძე;
ნანა მჟავანაძე.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები:

ნათია გიორგობიანი;
ია მოსაშვილი;
ქეთევან ღვანიძე.

სხვა დამსწრე პირები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;
ციური დურული - პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტი;

საბჭოს სხდომა დაიწყო 12:10 საათზე.
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, დავით აფრასიძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის 1[1] პუნქტის საფუძველზე სხდომას ესწრებოდნენ ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები. საბჭოს

თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი და საბჭოს მოწვეული წევრების ¾. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ, ვინაიდან საბჭო განიხილავდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხებსაც, ავტორიზაციის დებულების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, სხდომას სათათბირო ხმის უფლებით ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული ორი პირი - შორენა ჯაფარიძე და ციური დურული.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა;
3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. ვინაიდან შუამდგომლობები წარმოდგენილი არ იქნა, დღის წესრიგი დამტკიცდა არსებული სახით.

1. **სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა: კონსტანტინე სირბილაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თანა-თავმჯდომარემ, პროფესორმა ოლვინ ვესტვუდმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საბჭოს წევრებს ასევე დეტალურად გააცნეს ადგილობრივმა ექსპერტებმაც:

- საჭიროა გადაიხედოს მისიის განაცხადი და შეიქმნას დიფერენცირებული ვერსია, რომელიც შიდა და გარე დაინტერესებულ პირებს მიაწვდის ინფორმაციას უნივერსიტეტის გამორჩეული როლის შესახებ;
- ყურადღება უნდა გამახვილდეს ქმედებათა გაზომვად შედეგებზე, რაც სტრატეგიული გეგმის უფრო ეფექტური მონიტორინგის საშუალებას მისცემს დაწესებულებას ;
- საჭიროა დაწესებულებამ ასახოს და პრიორიტეტების მიხედვით დაალაგოს მისი საქმიანობა რათა მოხდეს არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენება. აღნიშნული ხელს შეუწყობს საერთაშორისო დონეზე დაწესებულების რეპუტაციის ზრდას, რაც არის მყარი საფუძველი იმისა რომ, თანამშრომლობის მიზნით, მოზიდულ იქნეს უფრო მეტი უცხოური უნივერსიტეტი;
- საჭიროა მოხდეს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის გაძლიერება;
- საჭიროა მოხდეს უცხოელი სტუდენტების ჩართვა სტუდენტურ თვითმმართველობაში;
- საჭიროა მოხდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების მხარდაჭერა და მისი ჩართვა უნივერსიტეტის სტრუქტურაში;
- საჭიროა მოხდეს სტუდენტების ჩართვა კარიერული განვითარების სამსახური მართვაში;
- საჭიროა გადაიხედოს საუნივერსიტეტო გამოკითხვების მეთოდოლოგიას;
- უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ყველა შესაბამისი თანამშრომლის მიერ შიდა ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვებისა და მისი შედეგების გათვალისწინება;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ხარისხის უზრუნველყოფის მთლიანი ციკლის სრულყოფა სამოქმედო გეგმების შემუშავებით და ფაკულტეტების/სტრუქტურული ერთეულების დონეზე განხორციელებით;
- დაწესებულების მენეჯმენტის დახმარებით უნდა გაგრძელდეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის თანამშრომელთა განვითარება და მათთვის უფრო მეტი ტრენინგი უნდა იყოს უზრუნველყოფილი;
- საჭიროა გაუმჯობესდეს და შეფასდეს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმები;

- უზრუნველყავით აკადემიური პერსონალის ეთიკისა და კეთილსინდისიერების კოდექსთან დაკავშირებული კომიტეტების დაკომპლექტება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს უნივერსიტეტის სამედიცინო და ჯანდაცვის ფაკულტეტების კურსდამთავრებულთა პროფესიონალიზმი.
- საჭიროა გაიზარდოს ინფორმირებულობის ხარისხი პლაგიატის გამოვლენის მექანიზმების თაობაზე;
- საჭიროა გაიზარდოს ინფორმირებულობის ხარისხი ეთიკის კომიტეტის მუშაობის შესახებ;
- უნივერსიტეტის „მთავარი გამოწვევების" საპასუხოდ უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისა და განახლების პროცესის მიმდინარეობა ყველა პროგრამისთვის, მაგ: მუდმივად ცვალებადი გარემოს მოთხოვნების გათვალისწინებით პროგრამებში სათანადო ცვლილებების ასახვა;
- ეფექტური ანგარიშების წარმოების გზით, განსაკუთრებით, სტუდენტთა უფლებების დაცვის სფეროში, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ხარისხის ციკლის დასრულება და სათანადო მტკიცებულებებით დადასტურება;
- უცხო ენების სწავლება და განსაკუთრებით, მათი მოცულობა და ხანგრძლივობა, უნდა შეესაბამებოდეს ენების საერთო ევროპულ ჩარჩოს (CEFR). სასურველი დონის (B2 დონე) მისაღწევად აუცილებელია გადაიხედოს და გაიზარდოს, როგორც უცხო ენების კურსების ფორმატი და მოცულობა, ასევე მათი ხანგრძლივობა;
- საჭიროა ჩამოყალიბდეს სტუდენტთა აკადემიურ საკითხებზე კონსულტაციებით (პრეზენტაციები, ნაშრომები, კვლევითი გეგმები და სხვა საკითხები) უზრუნველყოფის სისტემა ;
- ინფორმაცია თანამშრომელთა კონკურსების შესახებ (მათ შორის, ინფორმაცია მოწვეული თანამშრომლების დასაქმების კრიტერიუმების შესახებ) საჭიროა განთავსდეს არა მხოლოდ უნივერსიტეტის ვებ-გვერდსა და გაზეთში, არამედ უნივერსიტეტის გარეთაც.
- პერსონალის მოქნილობისათვის საჭიროა გაანალიზდეს მოწვეული პერსონალის მაღალი რაოდენობა და რაციონალური მენეჯმენტის საჭიროება;
- გასაუმჯობესებელია დაჯილდოებისა და წახალისების სისტემა;
- გასაუმჯობესებელია პერსონალის განვითარების სისტემა;
- ჩამოსაყალიბებელია სტუდენტების სტატუსის შეჩერების შემთხვევების რაოდენობის კონტროლის, ანალიზისა და შემცირების საშუალებები;
- საჭიროა მოხდეს გამოვლენა და გამოსწორება სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მიზეზებისა და შედეგების;
- სრულყოფას საჭიროებს პერსონალის დატვირთვის საათები და გასათვალისწინებელია მეთოდური საქმიანობისთვის აუცილებელი დრო. დატვირთვის საერთო საათები უნდა მოიცავდეს, ასევე, პროფესორების საქმიანობას ადმინისტრაციულ ან სხვა თანამდებობებზე;
- უზრუნველყოფილი უნდა იქნეს , რომ ინფორმაცია სადოქტორო პროგრამისა და ჩარიცხვის პროცედურების შესახებ უფრო ფართოდ იქნას გავრცელებული უფრო მეტი კანდიდატის მოზიდვისა და კონკურენციის შექმნის მიზნით;
- საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვის სურვილის გათვალისწინებით, ჩამოსაყალიბებელია სტრუქტურირებული მიდგომა, რათა მათთან მოხდეს ეფექტური კომუნიკაცია;
- სტუდენტთა სტატუსის შეჩერების მაღალი დონე აღიარებულ უნდა იქნას პრობლემად და რეკომენდირებულია, რომ ჩამოყალიბდეს მისი კონტროლის, ანალიზისა და შემცირების სისტემა.
- პროგრამის დახურვის შემთხვევებში სტუდენტთა კანონიერი ინტერესების გათვალისწინება ნათლად და ფაქტებით უნდა დასტურდებოდეს.
- საჭიროა უფრო მეტად მოხდეს სტუდენტთა მხარდაჭერის პროცედურებისა და სერვისების დახმარება და პროაქტიურობა;

- საერთაშორისო სტუდენტების კონტიგენტი საჭიროა ჩაერთოს საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა ასპექტში, მათ შორის გადაწყვეტილების მიმღები ორგანოების მუშაობაშიც;
- საჭიროა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის აქტიურად დანერგვა და სტუდენტთა აკადემიური მიღწევების მონიტორინგის, ასევე, მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების უზრუნველყოფა;
- საჭიროა სტუდენტთა თვითმმართველობის მისიის გადახედვა და მისი სათანადო აღქმა ყველა დაინტერესებული მხარის მიერ;
- უზრუნველყოფას საჭიროებს კვლევის განვითარების პროცესის მონიტორინგი მისი ეფექტური განხორციელებისა და არსებული სიტუაციის გამოსწორების მიზნით;
- ჩამოსაყალიბებელია რეგულაციები რიგი სადოქტორო პროგრამების გაუქმებასთან დაკავშირებით;
- საჭიროა მოხდეს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების წახალისება, რათა მათ გაიუმჯობესონ უცხო ენების ფლობის უნარები. ეს მათ საშუალებას მისცემს ჩაერთონ საერთაშორისო აქტივობებსა და კვლევებში და ჰქონდეთ უცხოურ ჟურნალებში ნაშრომების გამოქვეყნების შესაძლებლობა;
- უნივერსიტეტმა უნდა დასახოს კვლევითი საქმიანობის მიმართულებები და პრიორიტეტები;
- საჭიროა მოხდეს უფრო მეტი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, სტუდენტების ჩართვა კვლევების განვითარებაში და გაითვალისწინეთ მათი ინტერესი ინგლისური ენის შესწავლაში;
- საჭიროა გადაიხედოს უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის მემორანდუმები და მოხდეს ფოკუსირება უფრო მეტად აქტიურ თანამშრომლობაზე, ვიდრე მემორანდუმების რაოდენობაზე, განსაკუთრებით, სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობის მიმართულებით;
- სამეცნიერო პერსონალის შეფასების მიზნით უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული და მკაფიო რეგულაციები;
- უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული რეგულაცია ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტების სამეცნიერო პროექტებსა და საერთაშორისო მობილობაში ჩართულობასთან დაკავშირებით;
- საჭიროა განვითარდეს უცხო ენების კომპეტენცია სამეცნიერო მკვლევართა ჯგუფებში;
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშავოს სტრატეგია, რომელსაც მალე (შესაძლოა, დაახლოებით 1-2 წელიწადში) ექნება საშუალება შეაფასოს კვლევითი საქმიანობა და განახორციელოს კვლევითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაცია;
- უნივერსიტეტმა უნდა უზრუნველყოს უწყვეტი ინვესტიციები მატერიალურ რესურსებში;
- გასათვალისწინებელია სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ყველა ადგილის ხელმისაწვდომობის საკითხი;
- უზრუნველყოფილი უნდა იყო, რომ უნივერსიტეტის შენობები საკმარისად იყოს ვენტილაციის სისტემით აღჭურვილი;
- უნდა გაიზარდოს კომპიუტერებით აღჭურვილი ობიექტების რიცხვი, რათა უფრო მეტი სტუდენტი იყოს უზრუნველყოფილი საინფორმაციო რესურსებზე წვდომით;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს მისი პოლიტიკის გამჭვირვალობა სტრუქტურული ერთეულების ანგარიშების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსებით;
- უნივერსიტეტმა, მომგებიან და ხარჯვით ცენტრებზე შემოსავლებისა და ხარჯების გადანაწილების მიზნით, უნდა დანერგოს ფინანსური ანალიზის სისტემა;
- საჭიროა ეფექტური გადაწყვეტილებების მისაღებად უნივერსიტეტმა განახორციელოს ფინანსურ მართვასა და ანგარიშგებაში შემოსავლიანობის ანალიზის გამჭვირვალობის დემონსტრირება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით, რომელიც გულისხმობდა მისიის განაცხადის გადახედვასა და განსხვავებული ვერსიის შექმნას, რომელიც შიდა და გარე დაინტერესებულ პირებს უნივერსიტეტის გამორჩეული როლის შესახებ მიაწოდებდა ინფორმაციას.

ექსპერტთა ჯგუფის თანა-თავმჯდომარის განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობდა ისეთი მისიის განაცხადის შემუშავებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა როგორც შიდა, ასევე გარე დაინტერესებული პირებისთვის. მისი განმარტებით, მათი რეკომენდაცია, რა თქმა უნდა, არ გულისხმობდა 2 განსხვავებული მისიის განაცხადის შემუშავებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რატომ იყო ექპერტთა ჯგუფის მიერ კომპონენტი 2.3 შეფასებული როგორც *ნაწილობრივ შესაბამისად სტანდარტთან,* მაშინ, როდესაც დასკვნაში აღნიშნულია, რომ დაწესებულებას გააჩნია ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების კოდექსი და ასევე დაწესებულებაში ჩამოყალიბებულია ეთიკის კომიტეტი.

ექსპერტთა ჯგუფის თანა-თავმჯდომარის განმარტებით, მათი შეფასება გულისხმობდა, რომ აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია, როგორც პლაგიატის გამოვლენის მექანიზმების, ასევე ეთიკის კომიტეტის მუშაობის შესახებ ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი აზრის გამოხატვის უფლება მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, 2.3 კომპონენტთან მიმართებით, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ სტუდენტები და აკადემიური პერსონალი პლაგიატის საწინააღმდეგო წესების შესახებ ინფორმაციას იღებდნენ, როგორც სილაბუსებიდან, ასევე აკადემიური წერის კურსიდან. ამასთან, ტარდებოდა სტუდენტებთან შეხვედრები პლაგიატის, პლაგიატის სახეებისა და შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ამ მიმართულებით ასევე აღსანიშნავი იყო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის ჩატარებული სემინარი: „პლაგიატი საქართველოს აკადემიურ სივრცეში: პრევენცია და ბრძოლა." ამასთან, 2017 წლის ოქტომბრიდან უნივერსიტეტი ჩართული იყო Erasmus+ ინსტიტუციური განვითარების პროექტში INTEGRITY (აკადემიური კეთილსინდისიერება), რომლის მიზანიც იყო ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომლებიც ხელს შეუწყობს პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება არ ეთანხმებოდა უნივერსიტეტის მისიის განაცხადის დიფერენცირებული ვერსიის შექმნას გარე და შიდა დაინტერესებული პირებისათვის, რადგანაც, მისი განცხადებით, მისია კონკრეტულად აღწერდა უნივერსიტეტის საქმიანობასა და მის ძირითად მიმართულებებს - ახორციელებს აკადემიურ და პროფესიულ პროგრამებს და ეწევა აქტიურ კვლევით საქმიანობას, ასევე განსაზღვრავს მის როლს ადგილობრივ დონეზე.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება ასევე არ ეთანხმებოდა ექსპერტთა მოწოდებას, დაწესებულების რეგიონალურ უნივერსიტეტად პოზიციონირებასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, საერთაშორისო დონეზე რეგიონალურ უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარების მიზნით, ის ყოველთვის ხაზს უსვამდა საკუთარ როლს რეგიონალურ განვითარებაში, თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწესებულება საკუთარი ისტორიიდან და საქმიანობიდან გამომდინარე, რაც გულისხმობდა აკადემიური და პროფესიული პროგრამების განხორციელებას, კვლევით საქმიანობასა და შეტანილ წვლილს ქალაქის, რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის განვითარებაში, არ უნდა ყოფილიყო მიჩნეული მხოლოდ რეგიონალურ უნივერსიტეტად.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც საერთაშორისო სტუდენტების თვითმმართველობაში ჩართვას გულისხმობდა, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ უცხოელი სტუდენტები არაერთ ღონისძიებაში იღებდნენ მონაწილეობას და მუდმივად ჩართულნი იყვნენ სტუდენტურ აქტივობებში. რაც შეეხება მათ თვითმმართველობაში ჩართვას, უცხოელ სტუდენტებს არანაირი შეზღუდვა არ ჰქონდათ ამ მიმართულებით და ეს მხოლოდ მათ სურვილსა და მონდომებაზე იყო დამოკიდებული. ამასთან, აღსანიშნავია პროექტი „მე-უნივერსიტეტი", რომელიც დაწესებულების თითოეულ სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას, დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება/სურვილი და საკუთარი როლი ამ იდეის განხორციელებაში, რასაც შემდგომ დაწესებულების ადმინისტრაცია განიხილავს და უმეტეს შემთხვევებში, ითვალისწინებს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა უცხოელი სტუდენტების რაოდენობით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, ამ ეტაპზე დაწესებულებაში დაახლოებით 400 უცხოელი სტუდენტი სწავლობდა. მისი განცხადებით, უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა ზოგიერთ შემთხვევაში ფერხდებოდა სავიზო რეგულაციებთან დაკავშირებული პრობლემების გამო.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულება მუდმივად ცდილობდა უცხოელი სტუდენტების დახმარებასა და მხარდაჭერას, მაგალითად, საქართველოში ჩამოსვლამდე დაწესებულება მათ უზრუნველყოფდა ბინადრობის მოწმობის მიღებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტით, რაც შემდგომ მათ ამ პროცესს საგრძნობლად უადვილებდა.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა სტუდენტური პარლამენტის საქმიანობით. დაწესებულების რექტორის განმარტებით, ჯერჯერობით დაწესებულებაში არ ფუნქციონირებდა სტუდენტური პარლამენტი, თუმცა, სტუდენტების ჩართულობის მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო სტუდენტური თვითმმართველობის აღნიშვნა, რომელიც ძალიან აქტიური და ქმედითი ორგანო იყო უნივერსიტეტში. ამასთან, მათ გამოყოფილი ჰქონდათ თანხა საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან.

საბჭოს წევრის, თამარ ზარანდიას, განცხადებით, სტუდენტურ თვითმმართველობაში ჩართვა არის მხოლოდ სტუდენტის სურვილსა და მონდომებაზე დამოკიდებული. შესაბამისად, დაწესებულება ვერ აიძულებდა მათ აღნიშნულ ორგანოში ჩართვას. საბჭოს წევრი დაინტერესდა, თუ რა გახდა აღნიშნული რეკომენდაციის გაცემის საფუძველი და ვიზიტისას ხომ არ დაფიქსირდა თვითმმართველობაში უცხოელი სტუდენტის ჩართვის დაბრკოლების ფაქტი.

ექსპერტთა განმარტებით, ვიზიტისას დაფიქსირდა, რომ უცხოელი სტუდენტები არ ფლობდნენ ინფორმაციას სტუდენტური თვითმმართველობისა და სხვა სტუდენტური ორგანოების შესახებ, შესაბამისად, მათი რეკომენდაცია ეხებოდა უცხოელი სტუდენტებისთვის მხოლოდ ინფორმაციის მიწოდების საკითხს.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საგანმანათლებლო პროგრამებში უცხო ენის კომპონენტის გაზრდის საკითხით.

ექსპერტთა განცხადებით, თუკი დაწესებულებას ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრული ჰქონდა ინტერნაციონალიზაცია, ამ შემთხვევაში უცხო ენების სწავლება და განსაკუთრებით, მათი მოცულობა და ხანგრძლივობა უნდა შეესაბამებოდეს ენების ზოგად ევროპულ ჩარჩოს. შესაბამისად, სასურველი დონის (B2) მისაღწევად, აუცილებლად უნდა გაზრდილიყო უცხო ენების კურსების მოცულობა.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა რეკომენდაციას და ამ მიმართულებით ცვლილებები უკვე განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამებში ენის კომპონენტის მოცულობის გაზრდის სახით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა საგანმანათლებლო კურსის კრედიტების განსაზღვრისას საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გადანაწილების საკითხით.

ექსპერტთა განმარტებით, საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსების უმრავლესობა იყო 5 კრედიტიანი და ჰქონდა დატვირთვა 45 ან 60 საათი. დამოუკიდებელი სამუშაოსთვის რჩებოდა მხოლოდ 80 ან 65 საათი. მათი განცხადებით, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების აღნიშნული სახით გადანაწილებით დამოუკიდებელი სამუშაოსთვის გამოყოფილი საათები არ იყო საკმარისი კვლევითი უნარების გასავითარებლად.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მაინორის არჩევის საშუალებასთან მიმართებით დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებამ არაერთი ცვლილება უკვე განახორციელა და დღეისათვის არცერთი საბაკალავრო პროგრამა არ ხორციელდებოდა დაწესებულებაში, რომლის ფარგლებშიც სტუდენტებს მაინორის არჩევის შესაძლებლობა არ ჰქონდა.

საბჭოს მოწვეული წევრი, ამირან გამყრელიძე, დაინტერესდა სამედიცინო მიმართულებით უცხოელ სტუდენტთა რაოდენობით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულებაში ამჟამად სამედიცინო მიმართულებით სწავლობდა 900-მდე სტუდენტი, საიდანაც 40%-ს უცხოელი სტუდენტები შეადგენენ.

საბჭოს მოწვეული წევრი, ამირან გამყრელიძე, დაინტერესდა, თუ რომელ კლინიკებთან თანამშრომლობდა დაწესებულება.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება ქუთაისში არსებულ ყველა კლინიკასთან თანამშრომლობდა, მაგალითად, მნიშვნელოვანია აღინიშნოს „აკ. ზ. ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი", „ევექსი" და ა.შ.

საბჭოს მოწვეული წევრი ამირან გამყრელიძე ასევე დაინტერესდა, იყო თუ არა დაწესებულებაში სამედიცინო მიმართულებით ყველა კათედრა წარმოდგენილი.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებაში წარმოდგენილი იყო სამედიცინო მიმართულების ყველა კათედრა.

საბჭოს მოწვეული წევრი ხათუნა ზალდასტანიშვილი დაინტერესდა სტუდენტთა მიერ დიპლომისშემდგომი ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების პროცენტულობით. ასევე, საბჭოს მოწვეული წევრები დაინტერესდნენ რომელი პრაქტიკოსი ექიმები კითხულობდნენ ლექციებს სამედიცინო პროგრამაზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დიპლომისშემდგომი ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდა სტუდენტთა დაახლოებით 75%-მა ჩააბარა. საკვალიფიკაციო გამოცდაზე გასულ და ასევე პრაქტიკოსი ექიმების ზუსტი რაოდენობა და ჩამონათვალი დაწესებულების რექტორმა ვერ დაასახელა იმ მიზეზით, რომ ავტორიზაციის საბჭოს საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდა მედიცინის ფაკულტეტის დეკანი. საბჭოს სხდომაზე, უნივერსიტეტის წარმომადგენლები დაუკავშირდნენ მედიცინის ფაკულტეტის დეკანს ირინე ფხაკაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წარმატებით აბარებდა ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდას.

ასევე, ირინე ფხაკაძემ ჩამოთვალა ის პრაქტიკოსი ექიმები, რომლებიც ჩართულები იყვნენ სასწავლო პროცესში.

დაწესებულებაში არსებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის ფართო საზოგადებისთვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ გარდა ვებ-გვერდისა, მათ მიერ გამოცხადებული კონკურსების შესახებ ინფორმაცია ცხადდება HR.ge-ზე.

რაც შეეხება დაჯილდოებისა და წახალისების სისტემის განვითარებას, დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას, თუმცა, აღსანიშნავი იყო, რომ რიგ შემთხვევებში, მოქმედებდა ინდივიდუალური წახალისების სისტემაც.

მე-5 სტანდარტთან მიმართებით გამოთქმულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულება არაერთ ღონისძიებას ატარებდა. მისი განცხადებით, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, სტუდენტების უმრავლესობა სტატუსს იჩერებდა ფინანსური პრობლემების გამო, სწორედ ამიტომ, მათ მხარდასაჭერად დაწესებულებამ შეიმუშავა არაერთი მექანიზმი. მაგალითად, სტუდენტებს საშუალება ჰქონდათ , სწავლის საფასური გადაეხადათ მათთვის სასურველი პირობით, კერძოდ, სწავლების წლიური საფასურის გადახდა შესაძლებელი იყო 4- ნაწილად დაყოფით.

ამასთან, დაწესებულება ყოველ სემესტრულად რექტორის მიერ დადგენილ ვადებში აცხადებდა სტუდენტთა ფინანსური ვალდებულების დასაფარად დახმარებას, რომლის ფარგლებშიც დახმარებას იღებდა სტუდენტი, რომელიც შეიძლება ყოფილიყო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისთვის საბრძოლო მოქმედებაში დაღუპულის შვილი, იძულებით გადაადგილებული პირი, მრავალშვილიანი (ოთხი ან მეტი შვილი) ოჯახის წევრი, ობოლი (უდედმამო), სოციალურად დაუცველი ოჯახიდან და ა.შ. ამ მიმართულებით, რექტორის განმარტებით, ყოველწლიურად დაახლოებით 100 000 ლარი იყო გამოყოფილი.

რაც შეეხება სტუდენტთა მხარდამჭერ ღონისძიებებს, უნივერსიტეტში სტუდენტების მოთხოვნებზე მორგებული სერვისების ძირითადი მიმწოდებელი სტრუქტურა იყო სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები, რომელიც TEMPUS პროექტის ფარგლებში 2014 წელს შეიქმნა. მისი საქმიანობის ძირითადი მიზანი იყო სტუდენტთა კონსულტირება და მხარდაჭერაა.

რაც შეეხება საინფორმაციო სერვისებს, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ პირველკურსელებთან გაცნობითი შეხვედრებს თავად რექტორი ატარებდა, ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები (სტუდენტთა მხარდაჭერისა და განვითარების სერვისები, ინოვაციური ლაბორატორია Fab-Lab, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური) და ფაკულტეტის დეკანები აწყობდნენ პირველკურსელებთან გაცნობითი სახის შეხვედრებს, სადაც სტუდენტი იღებდა სრულ ინფორმაციას საუნივერსიტეტო სერვისების შესახებ.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია, დაინტერესდა, იყო თუ არა ეთიკის კოდექსი განთავსებული დაწესებულების ვებ-გვერდზე.

ექსპერტთა განმარტებით, ეთიკის კოდექსი განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, თუმცა, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო , რომ როგორც დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევების მიხედვით, ასევე ინტერვიურების დროს, სტუდენტთა ნაწილს არ ჰქონდა ინფორმაცია ეთიკის კოდექსის შესახებ. ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დოქტორანტთა ხელმძღვანელებთან შეხვედრისას, მათ ვერ დაასახელეს, თუ ვინ იყო პასუხისმგებელი დოქტორანტებისთვის ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გაცნობაზე.

საბჭოს წევრი, ნანა შარიქაძე, დაინტერესდა, არსებობდა თუ არა დაწესებულებაში სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში ჩართულობასთან დაკავშირებული რეგულაცია. მისი განმარტებით, კითხვა გამომდინარეობდა ექსპერტთა ჯგუფის შემდეგი რეკომენდაციიდან -უნივერსიტეტმა უნდა ჩამოაყალიბოს კონკრეტული რეგულაცია ახალგაზრდა მკვლევარებისა და დოქტორანტების სამეცნიერო პროექტებსა და საერთაშორისო მობილობაში ჩართულობასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა განმარტებით, დაწესებულებაში არსებობდა სტუდენტთა საერთაშორისო მობილობაში ჩართულობასთან დაკავშირებული რეგულაცია. აღნიშნული რეკომენდაცია კი, გულისხმობდა სტუდენტთა უცხო ენის ცოდნის ამაღლების უზრუნველყოფას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა დაწესებულების გეგმით სადოქტორო პროგრამების გაუქმების გამო სტატუსშეჩერებულ დოქტორანტებთან დაკავშირებით.

დაწესებულების რექტორის განმარტებით, დაწესებულება უახლოეს მომავალში გეგმავდა რამდენიმე მიმართულებით ახალი სადოქტორო პროგრამების აკრედიტაციას, შესაბამისად, სტატუსშეჩერებული დოქტორანტები ჩაირიცხებოდნენ აღნიშნულ პროგრამებზე, დოქტორანტების ნაწილი კი ისარგებლებდა მობილობის უფლებით და გადავიდოდნენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ავტორიზაციის სტანდარტის 7.1 კომპონენტთან მიმართებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტი ახორციელებდა უწყვეტ ინვესტირებას მატერიალურ რესურსებში, რაც დასტურდებოდა უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში ხარჯების მოცულობის ზრდით. კერძოდ, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში 2015 წლის გეგმით განსაზღვრული იყო 1402000 ლარი, 2017 წლის 2050000 ლარი, ხოლო 2018 წელს 3670000 ლარი.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 14:45 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 14:55 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდათ დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნა, რომ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდა, როგორც ექსპერტთა შეფასებას, ისე საჯარო განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საბჭომ იმსჯელა დაწესებულების მისიის საკითხზე და ზეპირ მოსმენაზე არსებული განხილვის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებების შედეგად მიიჩნია, რომ 1.1 კომპონენტი - უსდ-ს მისია შესაბამისობაში იყო კომპონენტის მოთხოვნებთან. შესაბამისად, პირველი სტანდარტი შეფასდებოდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან, ნაცვლად მეტწილად შესაბამისობისა.

საბჭომ ასევე იმსჯელა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებს დაწესებულებაში ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვის მექანიზმების არსებობას, თუმცა, აღნიშნულ საკითხებზე ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით დაწესებულება საჭიროებდა არაერთი ღონისძიების გატარებას. შესაბამისად, 2.3 კომპონენტი საბჭოს მოსაზრებით შესაძლებელი იყო შეფასებულიყო როგორც მეტწილად შესაბამისი.

საბჭომ ასევე იმსჯელა დაწესებულებაში სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებების საკითხზე და მიიჩნია, რომ *5.2 კომპონენტი* - სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები მეტწილად შესაბამისობაში იყო კომპონენტის მოთხოვნებთან . საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით,

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და ზეპირ მოსმენაზე არსებული განხილვის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდა აღნიშნული მიმართულებით დაწესებულების მხარდაჭერას, არაერთი ღონისძიების გატარებასა და სერვისების განვითარებას.

დაწესებულების კვლევითი საქმიანობასთან მიმართებით, საბჭოს განცხადებით, ამ მიმართულებით დაწესებულებაში ხორციელდებოდა გარკვეული კვლევითი აქტივობა. რაც დასტურდებოდა დაწესებულების მიერ მოზიდული ადგილობრივი და საერთაშორისო გრანტების ოდენობით. შესაბამისად, საბჭოს გადაწყვეტილებით, 6.1 კომპონენტი - კვლევითი საქმიანობა შესაძლოა შეფასებულიყო, როგორც მეტწილად შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან, თუმცა სტანდარტის შეფასება რჩებოდა მაინც როგორც ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

შესაბამისად, საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 12 000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 22
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 12 000-ით. დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

საბჭოს თავმჯდომარემ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს, რომ დაწესებულებაში 2 წლის ვადაში განხორციელდეს მონიტორინგი, რა დროსაც გადამოწმებულ უნდა იქნეს დაწესებულების პირობების შესაბამისობა ავტორიზაციის მე-6 სტანდარტთან მიმართებით.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 15:05 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 15:25 საათზე.

საბჭოს სხდომა დატოვა დავით აფრასიძემ. ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნუგზარ სხირტლაძე.

2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიულის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა კონსტანტინე სირბილაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნათია გიორგობიანმა, რომელმაც საბჭოს წევრებს გააცნო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროფესიულ სტანდარტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შედეგი „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი“ ფასდება ტესტირებით როგორც შუალედური შეფასებისას, ასევე დასკვნითი გამოცდისას. ვინაიდან შედეგის შეფასება ამ შემთხვევებში არარელევანტური მეთოდით ხორციელდება, ვერ მოხერხდება სწავლის შედეგის დადასტურება. ამიტომ სასურველია პრაქტიკული უნარები შეფასდეს, დაწესებულებაში არსებული სტუდენტთა შეფასების სისტემის თანახმად, სადაც შეფასების მეთოდებში ტესტების გარდა მოცემულია: დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, აუდიოვიზუალური ნაწარმოების წარმოდგენა, სპექტაკლში მონაწილეობა და სხვა; სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, ქეისის განხილვა, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა“;
- სასურველია მოდულების დამხმარე ჩანაწერებში კერძოდ: პუნქტ სასწავლო გარემოთა ტექნიკური აღჭურვილობა, სადაც გამოყენებული ტერმინები „მინიმუმ“, „არანაკლებ“ „ან/და“ დაკონკრეტდეს დაწესებულების საკუთრებაში არსებული აღჭურვილობა;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში კრედიტების ECTS სისტემა შეიცვალოს პროფესიული კრედიტებით, ხოლო სილაბუსებში გამოყენებული ტერმინი „ლექტორი“ შეიცვალოს ტერმინით-პროფესიული მასწავლებელი;
- საჭიროა პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში, დეტალურად იქნას გაწერილი რომელი პროგრამის სტუდენტებს და რა რაოდენობით მიიღებს პრაქტიკის ობიექტი;
- სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროგრამაში მოდულ პრაქტიკულ პროექტში საათების განაწილების სქემაში ისევე როგორც ჩარჩო დოკუმენტის დანართის საათების განაწილების სქემაში შეცდომაა დაჯამებაში, რაც დაწესებულებამ სასურველია გაასწოროს;
- ვინაიდან, კატალოგი სარეკლამო ხასიათისაა, სასურველია დამატებით მოიცავდეს პარტნიორი ორგანიზაციების, პრაქტიკის ობიექტების ჩამონათვალს, ინფორმაციას სტუდენტების მიღებისა და პრაქტიკის განმახორციელებელი პირების შესახებ, წარმატებული კურსდამთავრებულების შესახებ. ინფორმაციას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით და სხვა;

- სასურველია, კატალოგში განთავსდეს ინფორმაცია პროფესიულ სწავლებასთან მიმართებაში, შესაბამისი ფოტომასალით არსებობით;
- სასურველია მემორანდუმები (გარდა სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან და სსიპ - საზოგადოებრივ კოლეჯთან „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან") არ იყოს ზოგადი, ყველა საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებისათვის და დადებული იყოს უშუალოდ პროფესიული პროგრამებისათვის;
- სასურველია ქ. ფოთში ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები, სრულყოფილად დამუშავდეს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად;
- დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ქ. ფოთში საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის შენობაში ცეცხლმაქრები განთავსდეს საევაკუაციო გეგმის შესაბამისად;
- საჭიროა ქ. ფოთში სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობდეს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოსაჩენად საჭირო ინვენტარი და სამკურნალო საშუალებები, რომლებიც ვარგისია გამოყენებისათვის;
- სასურველია დაწესებულებამ სამომავლოდ გამოყოს პირი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სსსმ პირის დაწესებულებაში გადაადგილებაზე;
- სასურველია ისევე როგორც ქვესტრატეგია, პროფესიული განათლების მიმართულებით სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიური ანგარიშებიც, აკადემიურისგან დამოუკიდებლად და უფრო დეტალურად იყოს წარმოდგენილი;
- სასურველია შემუშავდეს შრომითი ხელშეკრულების სრულყოფილი ერთიანი ფორმა;
- სასურველია დაწესებულებაში ცალკე ჩამოყალიბდეს პროფესიულ სწავლების პროცესზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული (როგორც ადმინისტრაციული ისე დამხმარე პერსონალი);
- სასურველია პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები, შრომის კოდექსის შესაბამისად შედგენილი ხელშეკრულების ფორმა და CV-ის ფორმა ერთნაირი იყოს უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლისათვის;
- აუცილებელია სამართლებრივი აქტი, მოდულის განმახორციელებელი პირის შესახებ წინ უსწრებდეს საქმიანობის დაწყების პროცესს;
- სასურველია, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მასწავლებლის მიღების წესში მოყვანილი იყოს იდენტური ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონს პროფესიული განათლების შესახებ თავი II მუხლი 12[1].

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა ბიბლიოთეკის სახანძრო სისტემით. ექსპერტთა განმარტებით, ბიბლიოთეკაში დამონტაჟებული სახანძრო სისტემის მეშვეობით, ხანძრის დროს არ დაზიანდებოდა წიგნები, რაც მათი განმარტებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო საბიბლიოთეკო რესურსის დაცვის მიზნით.

საბჭოს წევრი, ნუგზარ სხირტლაძე, დაინტერესდა, რას გულისხმობდა ექსპერტთა რეკომენდაცია კრედიტების სისტემის პროფესიული კრედიტით შეცვლის შესახებ. ექსპერტთა განმარტებით, აღნიშნული რეკომენდაცია გულისხმობდა მხოლოდ ტერმინის ცვლილებას.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა მიერ შემუშავებული ყველა რეკომენდაცია იყო გამოსწორებული. შესაბამისად, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა ყველა რესურსი, რომ განეხორციელებინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

შესაბამისად, საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების

უფლებამოსილების მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 364-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" მე-13 მუხლის, 25-ე მუხლის 4[1] და მე-5 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049) მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 364-ით.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 16:45 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 16:55 საათზე.

საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს თავმჯდომარე დავით აფრასიძე. შესაბამისად, ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა დავით აფრასიძე.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა ნოდარ შურღაიამ.

3. სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თვითაცილება განაცხადა საბჭოს წევრმა: ნანა შარიქაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე Skype-ის მეშვეობით წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გორდონ მონრომ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები საბჭოს წევრებს დეტალურად გააცნეს ადგილობრივმა ექსპერტებმა:

- ექსპერტთა ჯგუფი იძლეოდა რეკომენდაციას, რომ კონსერვატორიამ შეიმუშაოს 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. ეს შეიძლება დაეყრდნოს დოკუმენტში წარმოდგენილ ხუთ ძირითად მიზანს, ამ შემთხვევაში შესაძლებელია 3-წლიანი სამოქმედო გეგმის გამარტივება, ხოლო, მასში შემავალი ზოგიერთი აქტივობა შეიძლება 7-წლიან გეგმაში იქნეს გადატანილი;
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციით სტუდენტები, დამსაქმებლები და სხვა მონაწილე მხარეები მომავალში აქტიურად უნდა ჩაერთონ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში;
- რეკომენდირებულია, რომ რექტორატის შეხვედრის (ასევე მოიხსენიება რექტორის საბჭოს სახელით) დეტალები მკაფიოდ უნდა იყოს ჩამოყალიბებული, იმგვარადა, რომ მისმა მონაწილეებმა და სხვა, კონსერვატორიის მართვაში ჩართულმა, პირებმა იცოდნენ საკუთარი ფუნქციები;
- ექსპერტთა ჯგუფია აყალიბებს რეკომენდაციას, რომ კონსერვატორიამ შეიმუშაოს რისკის შემცირების სტრატეგია და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგისა და მუშაობის შეფასების მექანიზმები;
- ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციის მიხედვით, კომუნიკაცია გარე მონაწილე მხარეებთან უნდა იყოს უფრო სისტემატიური. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რეკომენდაცია, რომ კურსდამთავრებულებმა და გარე დაინტერესებულმა მხარეებმა (დამსაქმებლებმა და პროფესიულმა კავშირებმა) სისტემატიური მონაწილეობა მიიღონ ხარისხის შეფასების პროცესებში, მაგალითად, პროგრამებისა და მომავალში თვითშეფასების ანგარიშების შემუშავების პროცესში კონსულტაციების მეშვეობით;
- ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაცია , რომ კონსერვატორიამ შეიმუშავოს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი;
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ დროულად შეიმუშავოს პლაგიატთან დაკავშირებული საკითხების მიმართ ცნობიერების ამაღლების გეგმა, ისე რომ, სტუდენტებმა იცოდნენ, თუ როგორ აარიდონ თავი პლაგიატს, ხოლო პერსონალი ინფორმირებული იყოს პლაგიატის აღმოჩენისა და მასთან ბრძოლის მექანიზმების თაობაზე;
- აღსანიშნავია, რომ კონსერვატორიაში ბევრი დამსაქმებელი მუშაობს და მომავალ დამსაქმებლებთან კონტაქტი მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ვინაიდან არსებობს ინტერესთა

კონფლიქტის საშიშროება, როდესაც უნივერსიტეტი კონსულტაციას იღებს ,,გარეშე პირისგან", რომელიც ამავე დროს კონსერვატორიაშია დასაქმებული, ექსპერტთა ჯგუფის რჩევაა, რომ კონსერვატორიამ უფრო სისტემატიურად მოიპოვოს უკუკავშირი კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლებისგან (მაგ; პირებისგან, ვინც არ არის კონსერვატორიასთან დაკავშირებული) და ჩაერთოს კონსულტაციებში პროფესიულ ასოციაციებთან საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელების, განვითარების ან გაუქმების მიზნით, რათა უზრუნველყოთ მაღალი ხარისხის, ბაზარზე მორგებული და თანამედროვე პროგრამების განვითარება;

- ექსპერტთა ჯგუფი აყალიბებს რეკომენდაციას, რომ კონსერვატორიამ შემოიღოს პროცედურები, რომლებიც უზრუნველყოფენ ყველა სტუდენტის მიერ თავიანთი პროგრესის (მიღწეული მიზნები, ხარვეზები და რეკომენდაციები გაუმჯობესების მიზნით) შესახებ საპასუხო გამოხმაურებების მიღებას;
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ შემოიღოს თავისი პერსონალის სისტემატიური პროფესიული განვითარების პოლიტიკა/სტრატეგია;
- ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა რეკომენდაცია, რომ კონსერვატორიამ შემოიღოს ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემა;
- ექსპერტთა ჯგუფმა ჩამოაყალიბა რეკომენდაცია, რომ კონსერვატორიამ თავისი პერსონალისთვის შეიმუშაოს სამიზნე ნიშნულები;
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ შექმნას სტუდენტთა კარიერული დაგეგმარებისა და დახმარების სამსახური, რომელიც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, ნებისმიერ დროს მიიღოს დახმარება ფორმალური მექანიზმების საშუალებით, რათა ეს კონსულტაციები დაემყაროს არა მხოლოდ აკადემიური ან ადმინისტრაციული პერსონალის წევრების კეთილ ნებას, არამედ აგრეთვე იმ ოფიციალურ ინსტრუმენტებს, რომლებზე წვდომასაც სტუდენტები საჭიროების შემთხვევაში შეძლებენ. ასევე, სასურველი იქნებოდა ყველა მონაწილე მხარის, მაგალითად: კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, პროფესიული ორგანიზაციებისა და ა.შ. ჩართვა რეგულარულ გამოკითხვებში, რაც ყველა საჭირო ინფორმაციის განახლებას გახდის შესაძლებელს. აგრეთვე, ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ უფრო მეტად შეუწყოს ხელი სტუდენტების ჩართულობას მაგალითად, მათი მოსაზრებების გულდასმითა და ობიექტურად გათვალისწინების საშუალებით;
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ განაგრძოს პერსონალის კვლევითი/საშემსრულებლო საქმიანობის მონიტორინგისა და შეფასების გაუმჯობესება და განავითაროს პერსონალის ეფექტიანობის შეფასების მაჩვენებლები;
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ მოახდინოს შენობების და საშემსრულებლო ადგილების მოდიფიცირება, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებმა შეძლონ შენობაში შესვლა და თავისუფალი გადაადგილება;
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ შეისწავლოს დაფინანსების წყაროები, რაც, დროთა განმავლობაში, შესაძლებელს გახდეს ახალი როიალების შესყიდვა (ან იჯარით აღება) რაც ასევე გაამარტივებს როიალების ტექნიკურ მომსახურებას;
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ დაამონტაჟოს ზედამხედველობის ვიდეო სისტემა ნუცუბიძის ქუჩაზე 18 ნომერში მდებარე კორპუსში.
- ამჟამად მხოლოდ ერთი სახანძრო საავარიო გასასვლელი არსებობს გრიბოედოვის ქუჩაზე მდებარე კორპუსში, ამიტომ უსაფრთხოების ზომის სახით ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ ამ კორპუსში მოაწყოს დამატებითი გასასვლელი.

- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ დააჩქაროს მის მიერ ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის განვითარებასთან დაკავშირებული გეგმების შემუშავების პროცესი. ეს სისტემა უნდა განხორციელდეს შეძლებისდაგვარად სწრაფად.
- ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციაა, რომ კონსერვატორიამ თავის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს თავისი ფინანსური ანგარიშები, რომლის აუდიტიც განხორციელდა, რომ ისინი საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და დაინტერესდა დაწესებულების მთავარი გამოწვევით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განცხადებით, ექსპერტთა შეფასებით დაწესებულების მთავარი გამოწვევა იყო ფინანსური საკითხი. მისი განმარტებით, დაწესებულებას სწორად ჰქონდა განსაზღვრული მიზნები, თუმცა, მისი მიღწევადობა დამოკიდებული იქნებოდა სახელმწიფოს მხრიდან ფინანსურ უზრუნველყოფაზე.

დაწესებულების რექტორის, რეზო კიკნაძის, განცხადებით, სტუდენტების მიერ მისიის გაზიარებასთან მიმართებით, მნიშვნელოვანი იყო აღინიშნულიყო, რომ დაწესებულებას ძალისხმევა არ გამოუჩენია ვიზიტის სტუდენტების მოსამზადებლად, რაც დადასტურდებოდა ინტერვიურების დროს. ამასთან, საგულისხმო იყო, რომ რამდენიმე სტუდენტთან გასაუბრება კონსერვატორიის საზოგადოების მიერ მისიის გაზიარების ობიექტურ სურათს ვერ ასახავდა.

რაც შეეხება სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებს, დაწესებულება არ იზიარებდა ექსპერტთა რეკომენდაციას 3-წლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების 7-წლიან სტრატეგიულ გეგმაში გადატანასთან დაკავშირებით. დაწესებულების რექტორის განცხადებით, არსებული რესურსებისა და მონდომების გათვალისწინებით, დაწესებულება დადგენილ ვადებში აუცილებლად მიაღწევდა 3-წლიანი გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.

7-წლიან სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ გაითვალისწინებდა ექსპერტთა შენიშვნას აქტივობების წლების მიხედვით გაწერასთან დაკავშირებით.

სათათბიროსთან მიმართებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული ორგანო დაკომპლექტებული იყო კონსერვატორიის აკადემიური პერსონალისგან და მიზნად ისახავდა ინფორმაციის გაცვლასა და დისკუსიას იმ საკითხებზე, რომელიც შემდგომ უკვე აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებზე განიხილებოდა. ასევე, მნიშვნელოვანი იყო აღნიშნულიყო, რომ სათათბიროს ფარგლებში შესაძლებელი იყო ყველა დაინტერესებული მხარის აზრის მოსმენა, რაც რექტორს აძლევდა შესაძლებლობას, დაწესებულებაში მიმდინარე ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ საკითხებზე ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას. დაწესებულების რექტორის განცხადებით, აღნიშნული სათათბირო წარმოადგენდა საკონსულტაციო ორგანოს და არ გააჩნდა გადაწყვეტილებების მიღების ფუნქცია, თუმცა, მიუხედავად აღნიშნულისა, დიდ როლს ასრულებდა მართვის ორგანოების - აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების ეფექტურ მუშაობაში.

ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებთან მიმართებით, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილემ განმარტა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა მიერ გაცემულ რეკომენდაციას კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების პროცესში უფრო აქტიურ ჩართულობასთან დაკავშირებით და ეს, მათი განცხადებით, თვითშეფასების ანგარიშში მათ თავად ჰქონდათ დაფიქსირებული. ამასთან, დამსაქმებლების ჩართულობის საკითხის განხილვისას, მნიშვნელოვანი იყო, რომ, გათვალისწინებულ იქნას ფაქტი, რომ

დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე, ძალიან ხშირად დამსაქმებელი ამავდროულად იყო დაწესებულების თანამშრომელი.

პლაგიატის გამოვლენისა და აღკვეთის პროცესებთან მიმართებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით, დაწესებულება აკადემიური წერის საგნის ფარგლებში გეგმავდა პლაგიატის შესახებ საკითხების ინტეგრირებას. ამასთანავე, ხაზგასასმელი იყო, რომ პლაგიატის თავიდან აცილებისა და რეაგირების მექანიზმები გაწერილი იყო დაწესებულების ეთიკის კოდექსში, შინაგანაწესსა და სხვა ნორმატიულ აქტებში.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტთა მხრიდან გაცემული რეკომენდაცია გულისხმობდა პლაგიატთან მიმართებით ცნობიერების ამაღლების გეგმის შემუშავებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ექსპერტთა მიერ მე-3 სტანდარტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებით. კერძოდ, რა ფაქტორებმა განაპირობა, რომ დაწესებულებას 3.1 კომპონენტი - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება, შეფასებული ჰქონდა როგორც მეტწილად შესაბამისობაში, მაშინ, როდესაც აღნიშნული პროცესის შედეგი, 3.2 კომპონენტი - პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, შეფასებული იყო, როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის წევრის, თამაზ გაბისონიას, განმარტებით, აღნიშნული შეფასება გამოწვეული იყო ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციით, რომელიც პროგრამების შემუშავების პროცესში კურსდამთავრებულებისა და პოტენციური დამსაქმებელების ჩართულობას გულისხმობდა. ექსპერტის განცხადებით, მისი აზრით, აღნიშნული რეკომენდაციას რჩევის სახე ჰქონდა.

სწავლის შედეგების შეფასებასთან მიმართებით დაწესებულების რექტორის მოადგილემ განაცხადა, რომ დაწესებულება არ ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებას შედეგების შეფასების სხვა მეთოდების განხილვასთან დაკავშირებით. მისი განმარტებით, დაწესებულებაში დანერგილი იყო შეფასების მეთოდი, რომელიც საერთაშორისო კონკურსების ჟიურის ყველაზე ობიექტურ შეფასების სტრატეგიას წარმოადგენს. შეფასების პროცესში 5 პროფესორის ჩართულობა პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობაზე მიუთითებდა.

რაც შეეხება ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას უკუკავშირის უზრუნველსაყოფად პროცედურების დანერგვასთან მიმართებით, დაწესებულების რექტორის მოადგილემ განმარტა, რომ სტუდენტები საკუთარი პროგრესის შესახებ უკუკავშირს ყოველი სემესტრის დასრულების შემდეგ იღებდნენ, რაც, მისი თქმით, ექსპერტების მხრიდანაც დადასტურდა. ამასთან, დაწესებულება ადასტურებს, რომ კვლავ იზრუნებდა აღნიშნული პროცედურების დახვეწასა და ეფექტურობის გაზრდაზე.

პერსონალის სისტემატიური პროფესიული განვითარების პოლიტიკის/სტრატეგიის შემოღებასთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ დაწესებულება ეთანხმებოდა ექსპერტთა აღნიშნულ რეკომენდაციას. თუმცა, მნიშვნელოვანი იყო, რომ გაწერილი სტრატეგიისა და ამ მიზნით გამოყოფილი ბიუჯეტის არქონის მიუხედავად, დაწესებულება, საჭიროებიდან გამომდინარე, ყოველთვის გამოყოფდა თანხებს აკადემიური თუ ადმინისტრაციული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით. მისი განცხადებით, აღნიშნული საკითხი დაკავშირებული იყო ფინანსურ საკითხთან, შესაბამისად, გარკვეულ შემთხვევებში, დაწესებულება დახმარების მიზნით მიმართავდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და ასევე, აღნიშნული მიმართულებით უმნიშვნელოვანესი იყო ERASMUS+ ის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა გაცვლით პროგრამებში აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის სტატისტიკით. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული დაახლოებით 40%-ს, ხოლო ადმინისტარციული პერსონალიდან თითქმის ყველა დეპარტამენტის ხელმძღვანელსა და მოადგილეს.

საბჭოს წევრი, ლევან იმნაიშვილი, დაინტერესდა დაწესებულებაში აფილირებული პერსონალის არარსებობის მიზეზით. ექპერტთა განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია= იყო სხვა მსგავსი დაწესებულების არარსებობით. შესაბამისად, დაწესებულებას აღნიშნული პრობლემა არ ჰქონდა, ვინაიდან აკადემიური პერსონალი, რომელიც ასწავლიდა კონსერვატორიაში, შრომებს აქვეყნებდნენ კონსერვატორიის სახელით.

სტუდენტების ინფორმირებულობასთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ სტუდენტთა მცირე რაოდენობიდან გამომდინარე, მათი კომუნიკაცია რექტორთან, ადმინისტრაციულ თუ აკადემიურ პერსონალთან იყო უშუალო და ფორმალიზება არ სჭირდებოდა. მისი განცხადებით, პროცესის გაუმჯობესებისა და გამარტივების მიზნით, დაგეგმილი იყო ტექნოლოგიების გამოყენება, მაგალითად, ახალი სასწავლო წლიდან სტუდენტები ისარგებლებდნენ სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემით.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდის მიზეზით. საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, ამჟამად დაწესებულებას სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული ჰქონდა 643 ადგილით და თვითშეფასების ფორმის მიხედვით დაწესებულება გეგმავდა სტუდენტთა ადგილების გაზრდას 1 359 ადგილამდე. დაწესებულების რექტორის მოადგილის განცხადებით, აღნიშნული მოთხოვნა გამომდინარეობდა მათი სურვილით, გაიზარდოს კონსერვატორიაში სწავლის მსურველთა რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მნიშვნელოვნად გაზრდის შემთხვევაში დაწესებულების ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების არსებობით.

ექსპერტთა განმარტებით, ვიზიტისას დადასტურდა, რომ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის შემთხვევაშიც დაწესებულებას ნამდვილად ჰქონდა, როგორც ადამიანური, ასევე ინფრასტრუქტურული რესურსი.

სსსმ პირებისთვის დაწესებულების ადაპტირების საკითხთან მიმართებით, დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ კონსერვატორიის ძირითადი სასწავლო შენობა წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს და შესაბამისად, პროცედურულად რთული იყო აღნიშნული ცვლილებების განხორციელება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ შენობის ადაპტირების გეგმა იყო შემუშავებული, მომზადებულია პროექტი და მიზნობრივი დაფინანსების მოთხოვნის მიზნით, აღნიშნული პროექტი წარდგენილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში .

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 17:35 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 17:45 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საბჭოს წევრებს ჰქონდათ დისკუსია განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით. ავტორიზაციის საბჭომ აღნიშნა, რომ საკუთარი უფლებამოსილების

ფარგლებში, გადაწყვეტილებას დააფუძნებდა, როგორც ექსპერტთა შეფასებას, ისე ზეპირ მოსმენაზე განხილვის დროს გამოვლენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

საბჭომ იმსჯელა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისა და განხილვის დროს გამოვლენილი ფაქტობრივი გარემოებები ადასტურებდა დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურისა და მართვის ეფექტიანობას. შესაბამისად, 2.1 კომპონენტი - ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა საბჭოს მოსაზრებით შესაძლებელი იყო შეფასებულიყო როგორც - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭომ იმსჯელა დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების საკითხზე და მიიჩნია, რომ ექსპერტთა რეკომენდაცია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების პროცესში დაინტერესებული პირების ჩართვის შესახებ წარმოადგენდა უფრო რჩევას, ვიდრე რეკომენდაციას, შესაბამისად, 3.1 კომპონენტი - საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება, შესაძლოა შეფასებულიყო როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, მე-3 სტანდარტი შეფასდებოდა როგორც შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

საბჭომ ასევე იმსჯელა დაწესებულების მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების საკითხზე. საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, დაწესებულებას სწორად ჰქონდა განსაზღვრული გასაუმჯობესებელი მიმართულებები, აღნიშნულიდან გამომდინარე, საბჭომ მიიჩნია, რომ 7.1. კომპონენტი - მატერიალური რესურსები შესაძლებელი იყო შეფასებულიყო როგორც მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

ასევე საბჭომ იმსჯელა სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობასთან დაკავშირებით და მიიჩნია, რომ დაწესებულებას ამ ეტაპზე შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 800 სტუდენტისთვის.

შესაბამისად, საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის ავტორიზაციის მინიჭებისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2 მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 56^3 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად, სსიპ - - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას (ს/კ: 203850813) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800-ით. დაწესებულებას მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად განესაზღვროს 1 წელი.

საბჭოს წინაშე შუამდგომლობა დააყენა ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომელმაც საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრში 2018 წლის 7 სექტემბერს, საბჭოს მიმდინარეობის დროს, წარმოდგენილი იყო შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებლის №65-ე წერილი, რომლის მიხედვითაც ის ითხოვდა ავტორიზაციის შეწყვეტას/შეჩერებას. ვინაიდან, მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ავტორიზაციის შეჩერების პროცედურას, საბჭოზე უნდა განხილულიყო დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების, ანუ შეწყვეტის საკითხი. შესაბამისად, ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შუამდგომლობდა საბჭოს წინაშე, რომ 2018 წლის 7 სექტემბრის სხდომის დღის წესრიგს დამატებოდა შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვაც. აღნიშნული შუამდგომლობა გაიზიარეს საბჭოს სხვა დამსწრე წევრებმაც.

4. შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელს მიმდინარე ავტორიზაციის ვადა ეწურებოდა 2018 წლის 24 სექტემბერს. აღნიშნულმა დაწესებულებამ ცენტრს საავტორიზაციო განაცხადით მიმართა 2018 წლის 13 მარტს. ცენტრის დირექტორის 2018 წლის 16 აპრილის №275-ე ბრძანებით დაწესებულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ცნობილ იქნა ავტორიზაციის მაძიებლად. 2018 წლის 3 მაისს ცენტრში დარეგისტრირდა ავტორიზაციის მაძიებლის კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №531298), რომლის მიხედვითაც, დაწესებულებამ მოითხოვა საავტორიზაციო საქმისწარმოების შეწყვეტა. შესაბამისად, ცენტრის დირექტორის 2018 წლის 4 მაისის №336-ე ბრძანებით შეწყდა შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებლის ავტორიზაციასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება.

2018 წლის 7 სექტემბერს, ავტორიზაციის საბჭოს მიმდინარეობის პერიოდში ცენტრში დარეგისტრირდა შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებლის №65-ე კორესპონდენცია (ცენტრში რეგისტრაციის №1096609), რომლითაც დაწესებულებამ მოითხოვა ვადამდე, ანუ 24 სექტემბრამდე ავტორიზაციის შეწყვეტა, რათა მის სტუდენტებს მისცემოდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ რიგგარეშე მობილობაში და გადასულიყვნენ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ლაშა მარგიშვილის განმარტებით, დაწესებულებაში ამჟამად ირიცხებოდა 150-მდე სტუდენტი.

ლაშა მარგიშვილის განცხადებით, თუკი საბჭო მიიღებდა გადაწყვეტილებას დაწესებულების ავტორიზაციის გაუქმების შესახებ, ცენტრი უზრუნველყოფდა სტუდენტების ინფორმირებულობას აღნიშნულ საკითხთან და მობილობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრების მოსაზრებით, საბჭოს არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობითა და დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი წერილის საფუძველზე შეეძლო მიეღო გადაწყვეტილება დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. საბჭომ განმარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ავტორიზაციის შეჩერების შესაძლებლობას.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლესი სასწავლებლისთვის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 56^2-ე მე-3 პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის, 56^4-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტისა და 28-ე მუხლის საფუძველზე, შპს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის უმაღლეს სასწავლებელს (საიდენტიფიკაციო კოდი: 204872931) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:55 საათზე.

თავმჯდომარე
დავით აფრასიძე

ნუგზარ სხირტლაძე

მდივანი
მაკა გველესიანი